



შრომის ბაზრის
საინფორმაციო სისტემა
დაგეგმვა მომსახურება



უნარებზე საწარმოთა
მოთხოვნის კვლევა
2025

❖ მიზანი

კვლევის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე დამსაქმებელთა მოთხოვნის გამოვლენა, რომლის გათვალისწინებაც შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესში ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

❖ კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტია იმ პროფესიული უნარების შესწავლა, რომლებსაც მოითხოვს დამსაქმებელი და რომლებიც აუცილებელია ინდივიდის დასაქმებისთვის.

ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების და პროფესიული ჯგუფების მიხედვით:

- ✓ დასაქმების გოგად სტრუქტურაზე ინფორმაციის მოპოვება;
- ✓ დამსაქმებლის მიერ დასაქმებული სამუშაო ძალის უნარების შეფასება;
- ✓ არსებული/პოტენციური ვაკანსიების გამოვლენა;
- ✓ ვაკანსიების შესვებასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;
- ✓ ვაკანსიებზე შეთავაზებული ანაზღაურების შესწავლა;
- ✓ ახალი კადრის აყვანისას საწარმოთა მიერ გამოყენებული ინფორმაციის წყაროების შესწავლა;
- ✓ დამსაქმებლის მიერ სწავლებასა და გადამზადებაზე განეული საქმიანობის შესწავლა;
- ✓ პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების ტენდენციების, ასევე პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ საწარმოებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებაზე ინფორმაციის მოძიება;
- ✓ დამწყები მუშახელის დასაქმების ტენდენციების გამოვლენა;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, სამომავლო ტენდენციები და მისი გავლენა დასაქმებაზე.

- ❖ შერჩევის დიზაინი: რეგიონი; სანარმოს ზომა; . NACE Rev2
- ❖ შერჩევის მოცულობა: 10 100 სანარმო
- ❖ სარეგერვო სანარმოთა რაოდენობა: 1 100
- ❖ ცდომილება სექციის დონეზე $\leq 1.69\%$ -ზე; ქვეყნის დონეზე $\leq 0.53\%$ -ზე
- ❖ გენერალურ ერთობლიობაზე გამოკვლევის შედეგების განზოგადების მიზნით განხორციელდა მონაცემების შეწონვა

სანარმოს ზომა	რაოდენობა გენერალურ ერთობლიობაში	შერჩეულთა რაოდენობა	რეგერვი	გამოკითხვა რეგიონულ ჭრილში	კომენტარი
სულ	51,189	10,100	1,100	თბილისი 3,555 კომპანია	მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ონლაინ კითხვარის მეშვეობით
მსხვილი	708	708	-		
საშუალო	2,794	2,794	-	სხვა დანარჩენი 6,545 კომპანია	
მცირე	47,687	6,598	1,100		

გენერალური ერთობლიობა წარმოადგენს მოქმედი ფინანსური და არაფინანსური კორპორაციების მონაცემთა ბაზას

დასაქმების სტრუქტურა


დასაქმებულთა რაოდენობა

დასაქმებულთა განაწილება - სქესი და სწარმოთა ზომა

დასაქმებულთა რაოდენობა **862,731**

სრული განაკვეთი **791,234 (92%)**

ნახევარი განაკვეთი **71,497 (8%)**



მსხვილი **36%**

საშუალო **18%**


მცირე **46%**

1.09.2024 წლის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ **862,731** პირი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს **3%**-ით აღემატება

01.09.2024 წ. მდგომარეობით სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელს **2%**-ით, ხოლო არასრულ განაკვეთზე დასაქმებულთა რაოდენობა **15%**-ით აღემატება


მსხვილ და მცირე სწარმოებში დასაქმების **4-4%**-იანი ზრდა დაფიქსირდა

დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით



სრული განაკვეთი - 791,234 ადამიანი (92%)

სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი - 95% აჭარაში დაფიქსირდა, შემდეგ მოდის ქვემო ქართლი 93%-ით, ხოლო თბილისში და შიდა ქართლში დასაქმებულთა 92%-ია სრულ განაკვეთზე დასაქმებული



არასრული განაკვეთი - 71,497 ადამიანი (8%)

თბილისის შემდეგ (43,668 დასაქმებული), ყველაზე მეტი არასრულ განაკვეთზე დასაქმებულით იმერეთის რეგიონი (5,749 დასაქმებული) გამოირჩევა, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა.

დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონეების მიხედვით

უმაღლესი | 490,694 57%

საშუალო | 235,138 27%

პროფესიული | 136,899 16%

დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონეების მიხედვით რეგიონულ ჯრილში

საშუალო

პროფესიული

უმაღლესი

თბილისი

23%

14%

63%

აჭარა

32%

23%

44%

იმერეთი

29%

22%

49%

ქვემო ქართლი

40%

17%

43%

სამეგრელო-ზემო სვანეთი

33%

17%

50%

კახეთი

42%

15%

43%

შიდა ქართლი

32%

16%

51%

მცხეთა-მთიანეთი

35%

15%

50%

სამცხე-ჯავახეთი

39%

21%

40%

გურია

37%

23%


40%

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

30%

26%

44%




საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორზე დასაქმებულთა 23% მოდის (195 107 დასაქმებული), ასევე ორნიშნა ხვედრითი წილით ხასიათდება, დამამუშავებელი მრეწველობისა (95 609 დასაქმებული) და ჯანდაცვის (91 568 დასაქმებული) სექტორები, 11-11%-ით.

ზრდა: ვაჭრობის (9%), ჯანდაცვის (9%), მშენებლობის (8%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (7%), წყალმომარაგების (6%), საფინანსო (6%), ტურიზმის (5%) და ენერჯეტიკის (4%) სექტორებში.


კლება: დამამუშავებელი მრეწველობის (-11%), სამთომოკოვებით (-9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების (-9%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (-3%) სექტორებში.

ძირითადი პროფესიული ჯგუფები



20-20% სპეციალისტების (175,594 დასაქმებული) და მენეჯერების (172.321 დასაქმებული) ძირითად პროფესიულ ჯგუფებზე მოდის.

ელემენტარული პროფესიული ჯგუფები



მთლიანი დასაქმების 5%, დაფიქსირდა მალაჩიების კონსულტანტ-გაყიდველებისა (43,410 დასაქმებული) და მმართველი დირექტორებისა და უმაღლესი რგოლის მენეჯერების (41,561) ელემენტარულ ჯგუფებზე.

მომღვენო 5 წლის განმავლობაში საპენსიო ასაკის მქონე დასაქმებულთა რაოდენობა - **82,953**

მთლიანი დასაქმების 10%

პენსიაზე გამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა - **7,028**

მთლიანი დასაქმების 1%, საპენსიო ასაკს მიღწეული დასაქმებულების **8.5%**

ყველაზე მეტად დაბერებადი საშუალო ძალა ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორში, სადაც დასაქმებულთა 20% მომღვენო 5 წელიწადში საპენსიო ასაკის იქნება



ტრანსპორტი და დასაწყობება უძრავი ქონება ელექტროენერჯია სოფლის მეურნეობა წყალმომარაგება

ყველაზე ნაკლებად დაბერებადი საშუალო ძალა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში, სადაც დასაქმებულთა მხოლოდ 4% იქნება საპენსიო ასაკის მომღვენო 5 წელიწადში.



საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები ხელმეწიკვა, გართობა და დასვენება ინფორმაცია და კომუნიკაცია ვაჭრობა სასტუმროები და რესტორნები

9%



მენეჯერები

11%



სპეციალისტი-პროფესიონალები

9%



თექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები

6%



ოფისის დამხმარე პერსონალი

6%



მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები

7%



სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები

11%



ხელმეწიკვი და მონათესავე სფეროების მუშაკები

15%



დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები




14%



არაკვალიფიციური მუშაკები

დაბერების ყველაზე მაღალი სხედრითი წილი დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობების (15%), ხოლო ყველაზე დაბალით კი ოფისის დამხმარე პერსონალისა (6%) და მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების (6%) ძირითად პროფესიულ ჯგუფებში ფიქსირდება.

დასაქმებულთა უნარების შეფასება



	ძალიან კარგად	კარგად	საშუალოდ	ცუდად	ძალიან ცუდად
ტექნიკური უნარები	32%	48%	19%	0.4%	0.1%
ხარისხის კონტროლის უნარები	31%	50%	19%	0.2%	0.1%
პრობლემის გადაჭრის უნარები	29%	50%	20%	0.2%	0.1%
გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის უნარები	33%	49%	18%	0.2%	0.0%
ეფექტიანი წარმოების უნარი	28%	50%	22%	0.2%	0.0%
უსაფრთხოების უნარები	31%	51%	18%	0.2%	0.0%
ადაპტაციის და მოქნილობის უნარები	28%	51%	21%	0.3%	0.2%
დროის მენეჯმენტი და ორგანიზაციული უნარები	28%	51%	20%	0.5%	0.0%
კომუნიკაციის უნარები	34%	49%	17%	0.3%	0.1%
ლიდერობის უნარები	26%	49%	25%	0.6%	0.0%

გამოკითხულ სანარმოთა ნახევარმა (50%) კარგი შეფასება მისცა ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით დასაქმებულთა უნარებს, დაახლოებით მესამედმა (30%) - ძალიან კარგი, ხოლო დაახლოებით მეხუთედმა (20%) - საშუალო. უმნიშვნელოა ცუდი და ძალიან ცუდი შეფასების ხვედრითი წილი.

ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ

საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც ვაკანსია ჰქონდათ 8,047 (16%)



ვაკანსიათა მაღალი კონცენტრაცია მსხვილ საწარმოებში - 66% (708 საწარმოდან ვაკანსია ჰქონდა 470-ს), შემდეგ მოდის საშუალო საწარმოები - 37% (1 040 საწარმო) და მცირე ზომის საწარმოები 14% (6,538 საწარმო).



არსებული ვაკანსიების რაოდენობა 93 372




გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა 77 364



შეუვსებელი ვაკანსიების რაოდენობა 10 602


2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საწარმოთა 16%-ს (8,047 საწარმო) 93 372 ვაკანსია ჰქონდა, რომელთა 83% (77 364 ვაკანსია) გამოცხადებულ იქნა.

გამოცხადებული ვაკანსიებიდან შეუვსებელი დარჩა ვაკანსიების 14% (10 602 ვაკანსია).






ვაკანსიათა უმრავლესობა (55% - 42 636 ვაკანსია) მსხვილი ზომის საწარმოებშია

გამოცხადებული ვაკანსიების განაწილება სექტორების მიხედვით






გამოცხადებულ ვაკანსიათა 23% (17 818 ვაკანსია) ვაჭრობის სექტორზე მოდის, შემდეგ მოდის საფინანსო-სადაზღვევო (12%), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის (11%), ინფორმაცია და კომუნიკაციის (11%) სექტორები.







- გამოცხადებული ვაკანსიების 23% (17 818 ვაკანსია) ვაჭრობის სექტორზე მოდის, საიდანაც 15% (2 675 ვაკანსია) შეუსვებელი დარჩა.
- შეუსვებელი ვაკანსიების წილით გამოირჩეულია ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორი

- გამოცხადებულიდან ყველაზე მეტი ვაკანსია მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებულ პირებისთვის იყო განკუთვნილი - 20% (15 376 ვაკანსია), საიდანაც შეუსვებელი დარჩა 18% (2 733 ვაკანსია).
- შეუსვებელი ვაკანსიების წილი ყველაზე მაღალი დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორებისა და ამწყობების პროფესიულ ჯგუფშია, სადაც გამოცხადებულიდან 27% (831 ვაკანსია) დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორების კვალიფიციური...









- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებთან, გამოცხადებული ვაკანსიების 7% (5 631 ვაკანსია) ბუკმეკრების, კრუპიეებისა და აზარტული თამაშების სფეროში დასაქმებულ სხვა პირებზე მოდის, საიდანაც შეუსვებელი მხოლოდ 1% დარჩა.
- შეუსვებელი ვაკანსიების წილი ყველაზე მაღალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესპეციალისტების ტექნიკოსების ელემენტარულ ჯგუფშია, სადაც გამოცხადებულიდან 65% (228 ვაკანსია) დარჩა შეუსვებელი.



- ძირითადი პროფესიული ჯგუფების მიხედვით გამოცხადებულ ვაკანსიებზე შეთავაზებული საშუალო ხელფასი, არსებულ საშუალო ხელფასს თითქმის ყველა შემთხვევაში აღემატება, გამონაკლისი მხოლოდ ხელოსნების ჯგუფია.




ვაკანსიების შევსებისას პრობლემა ჯამში 956 სანარმოს (გამოცხადებული ვაკანსიის მქონე სანარმოთა 3%) შეექმნა. ვაკანსიების შევსების პრობლემა შეექმნათ მსხვილ სანარმოთა 24%-ს, საშუალო სანარმოების 15%-ს და მცირე ზომის სანარმოთა 10%-ს


-  ავლიკანტთა რაოდენობის ნაკლებობა - 28%
-  ავლიკანტებს აკლდათ საშუაო გამოცდილება - 12%
-  ავლიკანტებს შეთავაზებულზე მაღალი ხელფასის მოლოდინი ჰქონდათ - 17%
-  ავლიკანტებს არ მოსწონდათ შეთავაზებული საშუაო გარემო - 7%
-  ავლიკანტები არ იყვნენ კვალიფიციურები - 16%
-  არავის მოუხარტავს - 4%
-  დიდი კონკურენცია სხვა დამსაქმებლისგან - 12%
-  ავლიკანტები იყვნენ ზედმეტად კვალიფიციურები - 3%

სანარმოებს ვაკანსიების შევსების პრობლემა, ძირითადად ისეთ ელემენტარულ პროფესიულ ჯგუფებზე ჰქონდათ, როგორებიცაა: გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერები (11%), მაღაზიების კოსმულტანტ-გაყიდველები (7%), ზოგადი პროფილის მდივნები (5%).


კომუნიკაციის წყაროები ახალი კადრების აყვანისას




რის საფუძველზე ხორციელდება ახალი კანთა შეფასება




რომელ კანდიდატებს აქვთ უპირატესობა?




ვაკანსიის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრა



უცხო ენის ფლობის საჭიროება



63%



27%



6%



4%



მთხროვრა სამუშაო
ძალაზე

კითხვაზე - „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას მომდევნო 1 წლის განმავლობაში?“ 8219-მა სანარჩომო მასცა დადებითი პასუხი (სულ სანარჩომოთა 16%).

კითხვაზე - „აპირებთ თუ არა მუშახელის რაოდენობის გაზრდას მომდევნო 5 წლის განმავლობაში?“ 6268-მა სანარჩომო მასცა დადებითი პასუხი (რაც სულ სანარჩომოთა 12%-ია).



დასაქმებულთა ზრდა - 22 449 დასაქმებული

დასაქმებულთა ზრდა - 51 618 დასაქმებული



დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდის 22% (4 832 დასაქმებული) ვაჭრობის სექტორზე მოდის, ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება მშენებლობის (12%), დამამუშავებელი მრეწველობისა (10%) და სასტუმრო/რესტორნების სექტორი (10%).

დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდის 22% (11 273 დასაქმებული) ვაჭრობის სექტორზე მოდის, ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება სასტუმრო/რესტორნებისა (13%) და მშენებლობის (10%) სექტორები.





- დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდის 19% (4 355 დასაქმებული) მომსახურებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირების ძირითად პროფესიულ ჯგუფზე მოდის.
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოირჩეულია მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები (1 445 დასაქმებული) და საბავშვო ავტომობილის მძღოლები (1 399 დასაქმებული).

- დასაქმებულთა მოსალოდნელი ზრდის 19% (9 704 დასაქმებული) სამსახურის და პროფესიონალების ძირითად პროფესიულ ჯგუფზე მოდის.
- ელემენტარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოირჩეულია საბავშვო ავტომობილის მძღოლები (3 349 დასაქმებული) და მაღაზიების კონსულტანტ-გამყიდველები (3 316 დასაქმებული).

სამუშაო ძალის განვითარება


საწარმოთა რაოდენობა, რომელთაც დააფინანსეს დასაქმებულთა გადამზადება 1702 (3%)
 გადამზადებულთა რაოდენობა 61 331(7%)



წლის განმავლობაში საწარმოების 3%-მა (1 702 საწარმო) დააფინანსა 61 331 დასაქმებულის გადამზადება, რაც სულ დასაქმებულთა 7%-ს შეადგენს. აქედან, დასაქმებულთა 82% მსხვილი ზომის საწარმოებში არიან დასაქმებულები. საქმიანობების სახეების მიხედვით **საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების საქტორზე** გადამზადებულ დასაქმებულთა 32% მოდის.




საწარმოს მიერ დაფინანსებული პროგრამების 76% კვალიფიკაციის ამაღლებაზე მოდის, 10% უცხო ენებზე, ხოლო 8% საინფორმაციო ტექნოლოგიებზე.



დასაქმებულთა არგადამგადების მიზეზად საწარმოთა 89% ასახელებს რომ - „დასაქმებულებს არ ესაჭიროებათ გადაგზავნა“, შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონას ასახელებს - 10%.


„შესაბამისი ფინანსური სახსრების არქონა“ პასუხის წილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ვაჭრობის სექტორშია (21%), ასევე ორნიშნა პროცენტული წილით ხასიათდება სასტუმრო/რესტორნების სექტორი (13%), მშენებლობა (12%), დამამუშავებელი მრეწველობა (10%).

მოტივაციის მექანიზმები



თანამშრომელთა შესანარჩუნებლად მოტივაციის გაზრდის მხრივ დასაქმებულების მხრიდან თითქმის თანაბრად გამოიყენება: ფულადი ჯილდოს მიცემა (28%) და მადლობის გამოცხადება (25%)

თანამშრომელთა გადაგზავნის სტრატეგია/გზამკვლევი



- საწარმოთა 19%-ს აქვს თანამშრომელთა გადაგზავნის სტრატეგია/გზამკვლევი.
- აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია მსხვილი ზომის საწარმოებში (59%).
- ადამიანისეული განვითარების სტრატეგიის არსებობა მაღალია განათლების სექტორში (42%)



ინფორმირებულობა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის შესახებ



გამოკითხული საწარმოების 42% ფლობს ინფორმაციას „დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს“ სახელმწიფო პროგრამის შესახებ.


პროფესიული განათლება

ძირითადად რა სახის განათლებას საჭიროებთ სანარმოში სამუშაოს/საქმის განსახორციელებლად




- ✓ სანარმომების 27%-ს ჰყავდა დასაქმებული 136 899 პროფესიული განათლების მქონე ადამიანი
- ✓ პროფესიული განათლების მქონე ადამიანები ყველაზე მეტად დასაქმებულები არიან: ჯანდაცვის (18%), ვაჭრობის (17%), დამამუშავებელი მრეწველობისა (15%) და მშენებლობის (11%) სექტორებში.

ესაჭიროებათ თუ არა სანარმოში დასაქმებულ, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დამატებითი გადამზადება?




- ✓ დამსაქმებელთა დიდი ნაწილი (57%) მიიჩნევს, რომ მათ სანარმოში დასაქმებული პროფესიული განათლების მქონე ადამიანები არ საჭიროებენ დამატებით გადამზადებას, ხოლო 29% ხედავს დამატებითი გადამზადების საჭიროებას.

როგორ შეაფასებდით პროფესიული განათლების მქონე თქვენთან დასაქმებულებს?




- ✓ სანარმომების უმრავლესობა (59%) დადებითად აფასებს პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა




თანამშრომლობის ტიპები:



საწარმოთა 3% (1 471 საწარმო) თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. თანამშრომლობა 40%-ის შემთხვევაში სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის შეთავაზებას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მაჩვენებელი ზრდით ხასიათდება, 2022 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით ასეთი საწარმოების რაოდენობა გაზრდილია 19%-ით.

დასაქმება თანამშრომლობის შედეგად




5 909 დასაქმებული

- იმ საწარმოთა 36%-მა (530 საწარმო), რომლებიც თანამშრომლობენ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თანამშრომლობის შედეგად 5 909 ადამიანი დასაქმა.
- თანამშრომლობის შედეგად დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით 9%-ით არის გაზრდილი.


პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობა



პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი საწარმოთა 9%-მა გამოთქვა, მზაობა 7%, ხოლო საჭიროება - 3%. თანამშრომლობის სურვილი/ მზაობა/ საჭიროება არ აქვთ საწარმოთა 51%-ს, „არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა“ - 30%;




საქართველოში პროფესიული განათლების დონის შეფასება




საწარმოების უმრავლესობა დადებითად (37%) და საშუალოდ (32%) აფასებენ ქვეყანაში პროფესიული განათლების დონეს. საწარმოების 29%-ს არ აქვს პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით და მხოლოდ ძალიან მცირე ზგუფია (2%) უარყოფითად განწყობილი.

ენდობით თუ არა პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას?



საწარმოების უმრავლესობა მეტნაკლებად ენდობა (45%) პროფესიულ სასწავლებლებში მიღებულ ცოდნას, სრულად ენდობა საწარმოთა 24%, საწარმოების მხოლოდ მცირე ნაწილი (2%) არ ენდობა. ხოლო მესამედს (29%) არ აქვს პასუხი დასმულ შეკითხვაზე.

სად უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ინვესტიციების ჩადება პრიორიტეტული?







საწარმოების უმრავლესობა სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების განხორციელების მხრივ პრიორიტეტულ მიმართულებად პროფესიულ განათლებას ასახელებს (43%), მეორეხედი (26%) პრიორიტეტულ მიმართულებად თვლის უმაღლეს განათლებას, 13% - საშუალო განათლებას, ხოლო 18%-ს არა აქვს პასუხი აღნიშნულთან დაკავშირებით.

დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეები

საწარმოთა რაოდენობა
3 775 (7%)


დასაქმებულთა რაოდენობა
18 935 (- 4%)

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით საწარმოთა 7%-ს (3775 საწარმო) ჰყავს უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებული ჯამში 18 935 ადამიანი, რაც მთლიანი დასაქმების 2%-ის ტოლია. დასაქმებულთა 66% თბილისშია დასაქმებული, ხოლო 34% დანარჩენ რეგიონებში.




უცხო ქვეყნის მოქალაქეები ყველაზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილები სპეციალისტების (35%- 6596 დასაქმებული) და მენეჯერების (25% - 4 664 დასაქმებული) **ძირითად პროფესიულ ჯგუფებში.**

უღებინდარული პროფესიული ჯგუფებიდან გამოსარჩევია: პროგრამისტები (20% - 3 742 დასაქმებული) და მმართველი დირექტორები / უმაღლესი რგოლის მენეჯერები (12%).



პროფესიული ჯგუფი ან კვალიფიკაციის მუშახელი, რომლებიც არ მოიძებნა ადგილობრივ ბაზარზე



პირველი სამუშაოს მაძიებლები

ბოლო 12 თვის განმავლობაში დაუქირავებია თუ არა თქვენს სანარმოებს/ პირველი სამუშაოს მაძიებლები?



დიახ - 2 490 სანარმო (5%)



არა - 48 699 სანარმო (95%)

დასაქმებულთა რაოდენობა - 27 861



პირველი სამუშაოს მაძიებლები საშუალო განათლებით - 35%




პირველი სამუშაოს მაძიებლები პროფესიული განათლებით - 24%



პირველი სამუშაოს მაძიებლები უმაღლესი განათლებით - 41%

სანარმოების 5%-ს (2 490 სანარმო) ჰყავდა დასაქმებული 27 861 პირველი სამუშაოს მაძიებელი, რომელთაგან, ყველაზე მეტი (41%) იყო უმაღლესი განათლებით, 35% - საშუალო, ხოლო 1224 - პროფესიული განათლებით.



ყველაზე მეტი პირველი სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების (36%), ვაჭრობისა (24%) და ინფორმაცია / კომუნიკაციების (13%) სექტორებში.

სანარმოები პირველი სამუშაოს მაძიებლებს საშუალო განათლებით ძირითადად საშუალო შეფასებას აძლევენ - 47%; პროფესიული განათლებით - კარგს (53%), ხოლო უმაღლესი განათლებით - ასევე კარგს (38%).

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება




10%

5300 სანარმო



90%

- კვლევის შედეგების მიხედვით, სანარმოთა 10% (5,300 სანარმო) იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ყველაზე მაღალი წილი მსხვილი ზომის სანარმოებში (44%), სექტორულ ჯრილში კი ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორშია (40%).








თანამედროვე ტექნოლოგიებიდან 62% საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მოდის, 23% ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე (IT), 8% სუფთა ტექნოლოგიებზე, 5% რობოტიკასა და ავტომატიზაციაზე, 3% განახლებად ენერჯიასა და მდგრადობაზე. აქედან:

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT):

სუფთა ტექნოლოგიები:

რობოტიკა და ავტომატიზაცია:

განახლებადი ენერჯია და მდგრადობა:






3%

1 312 საწარმო



97%

- გამოკითხულ საწარმოთა 3% (1 312 საწარმო) გეგმავს მომავალში განახორციელოს ინვესტირება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში.
- თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების ყველაზე მაღალი წილი მსხვილი ზომის საწარმოებშია (16%).








თანამედროვე ტექნოლოგიებში მოსალოდნელი ინვესტირებიდან 36% საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე მოდის, 21% ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე (IT), 16% სუფთა ტექნოლოგიებზე, 11% განახლებად ენერჯიასა და მდგრადობაზე, ხოლო 7% რობოტიკასა და ავტომატიზაციაზე. აქედან:

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT):


სუფთა ტექნოლოგიები:

რობოტიკა და ავტომატიზაცია:

განახლებადი ენერჯია და მდგრადობა:




ტექნოლოგიები ინვესტიციების შედეგად პროფესიულ ჯგუფებზე მოთხოვნის ზრდა



სანარმოები თვლიან, რომ ტექნოლოგიების დანერგვა გაზრდის მოთხოვნას შემდეგ პროფესიულ ჯგუფებზე:

- სისტემის ანალიტიკოსები
- ICT მომსახურებების მენეჯერები
- საინფორმაციო და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების მემონტაჟები და მომსახურე მუშები
- საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები
- მონაცემთა ბაზის დიზაინერები და ადმინისტრატორები
- მრეწველობისა და წარმოების ინჟინრები

ტექნოლოგიები ინვესტიციების შედეგად პროფესიულ ჯგუფებზე მოთხოვნის შემცირება



სანარმოები თვლიან, რომ ტექნოლოგიების დანერგვა შეამცირებს მოთხოვნას:

- კლერკები
- ბიზნესის მომსახურების აგენტები
- შემფუთველები
- მტვირთავები

პრეზენტაციის დასასრული